პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 20 თებერვალი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 40 (827) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ვვანგულოვის ქუჩა ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ...ვოლიუციონური დისციპლინის ...ნმტკიცება—წითელი არმიის ძლი...ერების საუკეთესო საწინდარია.

...თავის უკანასკნელ სიტყვაში ... ფრუნზემ აღნიშნა ყველა ...მოცანები, რომლებიც სდ... წითელ· არმიის წინაშე მი...არსებობის შვიდი წლის თა...

...მათ შორის მიუთითა რე...ლიუციონური დისციპლი...მეტი განმტკიცებაზე და ...ლიერებაზე.

...კინისებური რევოლიუცი...ური დისციპლინა არის ის ...ევი ფუძე, რომელზედაც ...ნებულია წითელი არმიის ...იერება. ამიტომაც ჩვენი ...ლებულებას შეადგენს ყო...მხრივ ხელი შევუწყოთ ამ ...სციპლინის ზრდას და გან...თარებას წითელ ჯარში. ჩვე... დისციპლინა სავსებით გან...ავდება სხვა ჯარის დისცი...ინისაგან. იქ იმპერიალის...ურ ჯარებში დისციპლინას ...ორებს მათრახი, ჯოხი და ...ყობილე. აქ მუშების და ...ების ინტერესების დამც... არმიაში დისციპლინა მყ...ება რევოლიუციონურ შე...ნაზე.

...ბურჟუაზიულ არმიებში დი...პლინას აძლიერებენ მკაც... ზომების მ ღერით, ჯარის...ის უსულო საგნათ გადაქ...ის მეოხებით; აქ კი ჩვენ ...ლ ჯარ მი, რომელიც მ...ელთა თავისუფლების დამ...ლია და საუკეთესო მომა...ს იდეების მატარებელია, ...ციპლინას ამაგრებენ ყველა... შემადგენელი ელემენტები. ...ებული მეთაურიდან და ...ებული რიგის წითელ-არ...ლით ყველანი მოვალენი ...ნ, გაამაგრონ დისციპლინა ...ს რიგებში და აიყვანონ ...სეთი სიმაღლეზე, რომელ...ც არას დროს არც ასულა და ვერც მიაღწევს იმპერიალი·სტურ არმიებში.

თითეული ნაბიჯი, თითეული მოქმედება წითელ·არმიელის უნდა იყოს მიმართული ამ დიადი ამოცანის შესრულებისაკენ. უამისოდ წითელი არმია ვერ გაძლიერდება, ვერ შეიქმნება იმ ძალათ, რომლის გახსენება შიშის ჟრუანტელს მოჰგვრის ჩვენს მტრებს. ამას კი ჩვენ უნდა მივაღწიოთ ყოველ მიზეზ გარეშე. ჩვენი მტრები—ბურჟუაზიული სახელმწიფოები შიშის თვალებით შესცქერიან საბჭოთა კავშირის ზრდას და წინსვლას. ჩვენი მიღწევები მათ მოსვენებას არ აძლევენ. და აი ისინი აძლიერებენ თავის შეიარაღებულ ძალებს, აწყობენ სხვა და სხვა კავშირებს ჩვენ წინააღმდეგ, ერთი სიტყვით აჯღარუნებენ იარაღს. ეს გარემოება არ უნდა დაგვავიწყდეს და ჩვენც ჩვენის მხრივ უფრო ენერგიულად, უფრო ხალისიანად მოვკიდოთ ხელი ჩვენი რიგების მეტ განმტკიცების და სამხედრო თავდაცვის გაძლიერებას.

„ჩვენ, ამხ. ფრუნზეს სიტყვით, პარტიის და მშრომელთა მასების დახმარებით ავიყვანთ წითელ არმიის სიძლიერეს ისეთ სიმაღლეზე, რომ მას ანგარიშს გაუწევენ ყველა ჩვენი მტრები".

ამიტომაც რევოლიუციონური დისციპლინის გაძლიერებაზე, მისი განვითარებაზე—ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ ყოველთვის და მუდამ. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, მაშინ არავითარი მტრები ჩვენთვის საშიში არ იქნებიან.

განვამტკიცოდ რევოლიუციონური დისციპლინა!

## საბჭოთა ხელისუფლება მალე ჩაიბარებს სახალინს.

### სახალინში უკვე გაემგზავრა იაპონიის კომისია, რომელმაც უნდა გადასცეს სახალინის მმართველობა საბჭოთა ძალებს.

### ერთ კვირაში იაპონია დაამტკიცებს იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებას.

### კარახანის ნოტა.

საბჭოთა საელჩოს შენობის გარშემო ტერიტორიაზე პეკინში სწარმოებდა სამხედრო მეცადინეობა ამერიკულ და მცველ რაზმებს შორის.

საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კარახანმა გაუგზავნა სახელმწიფოების წარმომადგენლებს ნოტა, რომელშიაც მოითხოვს შეწყვეტილ იქნეს ასეთი მეცადინეობა. (სხვისი საელჩოს ტერიტორიის გამოყენება, როგორც აღნიშნული შემთხვევაა, ითვლება კანონის დარღვევად).

### გაფიცვები შანხაიში.

შანხაის ტილოს საქსოვ ქარხნის მუშათა გაფიცვებ ვრცელდება იაპონიის სხვა ქარხნების მუშებს შორისაც.

ჯერ-ჯერობით გაფიცულია 30.000 მუშა. მოსალოდნელია იაპონიის ქარხნის მუშათა საერთო გაფიცვები.

არის შეტაკებები გაფიცულთა და პოლიციის შორის. მოკლულია ერთი ზედამხედველი და დაჭრილია რამოდენიმე.

ზედამხედველები სცემდენ მუშებს და ერთი სიტყვით ექცეოდენ მათ როგორც ცხოველებს.

### სასჯელი ბოლშევიკური ლიტერატურისთვის.

შანხაის უნივერსიტეტის რექტორი დზო—დი—ძზე მიცემულ იქნა სასამართლოში. მას ბრალად ედება ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელება. (აღმოაჩინეს 600 ტომი წიგნი მარქსის, ენგელსის, ლენინის, ზინოვიევის, ტროცკის და სხვა.) სასამართლომ დაადგინა დასწვას წიგნები და მიუსაჯა რექტორს 1,000 დოლარი ჯარიმა საწინდარი, რომ ის აწი არ შეუწყობს ხელს კომუნისტურ პროპაგანდას.

### ნეიმანი სტყუის.

#### (საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელის განცხადება ბერლინში).

ბერლინში მყოფ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა განცხადება „გერმანიის ჩეკას" პროცესის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია: „საელჩოს ჯერ არავითარი განცხადება არ გამოუქვეყნებია ბრალდებულ ნეიმანის ჩვენებათა შესახებ ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლოში ვინაიდან ამ ჩვენებათა უსაფუძვლობა ცხადი იყო. მაგრამ ვინაიდან ამ ჩვენებებს მაინც ჩაებღაუჭა გაზეთები და დაიწყეს მათი განხილვა, საელჩო საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ ნეიმანის ჩვენება. რამდენადაც ის ეხება საელჩოს და საბჭოთა კავშირის თანამდებობის პირთ, წარმოადგენს ჭორებს და მასში არც ერთი სიტყვა მართალი არ არის".

## მექრთამეების სასამართლოში.

### გერმანიის „ჩეკას" პროცესი

#### ნეიმანი პროვოკატორი.

17 თებერვლის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ნეიმანის დაკითხვა. საერთოდ მისი ჩვენებიდან ირკვევა მისი პროვოკატორული როლი. ირკვევა, რომ ის აწყობდა ტერორის ინსცენიროვკებს და არ ჰქონია სერიოზული განზრახვა ბოლომდის მიეყვანა ტერორისტული აქტები.

#### სკობელევსკის ჩვენება.

18 თებერვალს სწარმოებს სკობელევსკის დაკითხვა. ის ამბობს, რომ დაიბადა ტამბოვში და არას დროს არ იმალებოდა გელმუტის, გორევისა და სხვა გვარების ქვეშ. 1916 წელში ის იქნა გაგზავნილი რუს ჯარისკაცებთან ერთად არხანგელსკიდან მარსელში და შემდეგ სცხოვრობდა საფრანგეთში. ფიქრობდა დაბრუნებულიყო გერმანიით სამშობლოში, რის შესახებ მან აღძრა შუამდგომლობა ბერლინში მყოფ საბჭოთა საელჩოში.

შემდეგ სკობელევსკის წაუყენებენ პირში ნეიმანს. ნეიმანი აცხადებს, რომ ეს არის ის, ვისაც ის გაეცნო გელმუტ-

## ...ინანსიური კრიზისი საფრანგეთში

...დესლაც საფრანგეთი მსხვი... ფინანსიური სახელმწიფო ... მისი ემართა თითქმის ...ლა ევროპის სახელმწიფო... დღეს კი საფრანგეთი ...თ ჩავარდა დიდძალ ვალებ...

...მერიკა და ინგლისი არიან ... მთავარი მოვალეები. არც ...ი კაპეიკი ჯერ-ჯერობით ...თვის არ გადაუხდია საფ...გეთს.

...ინაიდან საამისო საშუალე...არა აქვს. როგორ უნდა გა...ხადოს ვალი, როცა ის ...თი დღე ადიდებს თავის ...არაღებულ ძალებს და მისი ...ჯების მეტი ნაწილი ხმარდება სამხედრო საჰაერო ფლოტის და სამხედრო შეიარაღების გაძლიერების საქმეს.

იმ დროს როცა სახელმწიფო შემოსავალი კლებულობს, გასავალი მატულობს. ამ გარემოებამ საფრანგეთის მთავრობის წინაშე დააყენა ფინანსიური გაკოტრების საშიშროება.

მართლადაც თუ გადავათვალიერებთ საფრანგეთის შემოსავლის ყველა წყაროებს, ჩვენ დავინახავთ რომ ის სრულიად არ არის საყოფი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელსაც აწარმოებს მთავრობა. ავიღოთ შემოსავლის ასეთი მთავარი წყარო, როგორც საგარეო ვაჭრობა არის.

1924 წლის განმავლობაში საფრანგეთიდან გატანილია სულ 39.390·153.000 ფრანკის საქონელი, ხოლო შემოტანილია საზღვარ-გარეთიდან კი 40.134.614000 ფრანკისა. მაშასადამე საფრანგეთი ყიდულობს სხვისგან მეტს, ვიდრე თვითონ ყიდის. ცხადია ეს ზარალს ნიშნავს. ამავე დროს საფრანგეთის მთავრობა სრულიად არ ამცირებს თავის ხარჯებს; პირიქით როგორც ზევით ვსთქვით კიდეც ადიდებს მას, ვინაიდან ის მიისწრაფვის, რათა სხვა სახელმწიფომ არ გაასწროს მას სამხედრო ძლიერების დარგში. ეხლა ისმება საკითხი: მაშ როგორ ფარავს საფრანგეთი ამდენ გასავალს? გადასახადების გადიდების საშუალებით.

მხოლოდ ეს გადასახადები სავსებით და მთლიანად აწვება წვრილ ბურჟუაზიას და მშრომელთა მასებს. მსხვილი ბურჟუაზია კი არ იხდის არც ერთ კაპეიკს, ვინაიდან მას უყვარს არა გადახდა არამედ ახალი მილიონების ჩაჩხრიალება ჯიბეში. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი.

წვრილი ბურჟუაზია და მშრომელთა მასები იზნიქებიან დიდძალი გადასახადების სიმძიმის ქვეშ და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ამას თან უნდა დაემატოს მოვალეების მოთხოვნა ვალების გადახდის შესახებ.

მსხვილი ბურჟუაზია სრულიად არ ფიქრობს გადასახადების გადახდას. ყველაფერი ეს ცხადია დიდ გავლენას ახდენს საფრანგეთის ფულის—ფრანკის კურსზე. დღითი დღე მისი ფასი ვარდება, რაც დიდათ აღელვებს როგორც მართველ -წრეებს, ისე ხალხსაც.

ერიოს მთავრობამ მოინდომა მსხვილი ბურჟუაზიის ცოტათი დაბეგვრა, რამაც დიდათ აალელვა ისინი. ამ დღეებში ფინანსიური მდგომარეობაზე საფრანგეთის პარლამენტში ილაპარაკა ერიომ. თავის სიტყვაში ის ებოდიშებოდა მსხვილ ბურჟუაზიასაც, და მეორეს მხრივ მემარცხენე ფრთასაც, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა.

მემარცხენე ბლოკი მოითხოვს ერიოსაგან, რათა მან აიძულოს მსხვილი კაპიტალისტები გადასახადების გადახდაზე, ხოლო ეროვნული ბლოკი, ანუ მსხვილი ბურჟუაზია ემუქრება ერიოს დამხობით თუ ის დაუყონებლივ არ მოხსნის მას გადასახადებს.

ჩვენ არ ვიცით რა ზომებს მიმართავს საფრანგეთის მთავრობა არსებულ მდგომარეობიდან გამოსავლად, მაგრამ ერთი ცხადია, როგორც დღემდი ისე ეხლაც, ერიო დაუთმობს მსხვილ ბურჟუაზიას, ხოლო მსხვილი ბურჟუაზიისათვის დათმობა ნიშნავს კი ფინანსიური კრიზისის უფრო გაღრმავებას და გაფართოვებას.

—ე.

## „დიდი ამოცანა“

ამ სათაურით გაზ. პრავდაში მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„დღეს ჩვენს წინაშე სდგას მსოფლიო ისტორიული ამოცანა. ევროპაში ამ ჟამად არ არის ის დიდი რევოლუციონური ტალღა, რომელიც 1923 წლის შემოდგომაზე იყო ევროპის მთელ რევოლუციურ გუთანს მაღლა აყირავებდა ხელოვნების ნიადაგის ძლიერ ზოლებში. პირველ ყოვლისა ეს ხდება ჩინეთში.

ერთი რამდენიმე ანაზღაურებს მეორეს.

მაგრამ ზოგიერთი ურწმუნო წუწუნობს, რომ ამ ჟამად არ არის საბრძოლო დიდი ამოცანისთვის, რომლის შესრულებას ჩვენ შეგვეძლებოდა შევსდგომოდით სრულის ალფრთოვანებით. ეს არ არის მართალი.

ასეთი საქმე, დიდი საქმე,“ არის. ეს არის თავის იდეურ გავლენის ბოლომდე სავსებით გავრცელება ჩვენი სოფლის პროლეტარიატზე, მე ათეულმილიონ გლეხებზე, რომლებიც განწყობილნი არიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამ ამოცანის გადაჭრა მთელი პროლეტარული საქმიანობისთვის არაფრით არ არის ძლევა მოსილ რევოლუციაზე ნაკლები რომელიმე მსხვილ ქვეყანაში.

დახმარება გლეხების მიმართ უმაღლეს საფეხურზე ასვლაში, მოთავსებული ხელმძღვანელობა მათზე; თანდათანობითი დახმარება გლეხებს თავისთავის გადამუშავებაში; მათი შეხვევა საზოგადოებრივ მუშაობაზე მუშათა კლასთან შეთანხმებულად; კულტურული მეურნეობის საფუძვლის ჩაყრა; სადღეისო კოოპერაციის ძლიერი ჩონჩხის შექმნა; პრაქტ შეცვლა ელექტრონით, გუთნის—ტრაქტორით, კუდიანისა და შკოთხავის—ქიმიით და აგრონომით, კერძო მესაკუთრის—კარგი საზოგადოებრივი კულტურული მეურნით—განა ეს დიდი ამოცანა არ არის?

ის ამ ხანს მისდევს დღეს ჩვენი პარტიის პოლიტიკა. დღეს, როცა ჩვენ მეტი დრო და მეტი ძალები გვაქვს, როცა ჩვენ შეგვიძლია მუშათა მოძრაობის ზრდა დასავლეთში, როცა ჩვენ გვაქვს ცოტად თუ ბევრად ხან გრძლივი შესვენება, სახელდობრ ახლავე უნდა მივმართოთ ჩვენ ჩვენი ძალები, ჩვენი ღონისძიებები.

პირველი ბრძოლებისათვის ჩვენ უნდა გამოვიდეთ მოწყობილი, გამტკიცებული, უფრო ძლიერი და ჯანსაღი. ხოლო ეს ნიშნავს: ჩვენ უნდა მოვიზიდოთ, მოვიმხროთ იდეურად, რწმენითა და საქმით ჩვენი სოფელი.“

ისა და ვოლფის გვარით და რომელიც ითვლებოდა საბჭოთა საელჩოში გორევის გვარით. სკობელევსკი უარყოფს ყოველივე ამას.

დამცველთა შეკითხვაზე, თუ რა საბუთით ამტკიცებს ნეიმანი სკობელევსკის ყოფნას საბჭოთა საელჩოში ნეიმანი უპასუხებს, რომ მე მას ვხედავდი ტახტზედ მჯდომს ფიჯაკში ჩაცმულსო.

სკობელევსკი აცხადებს:

„წინასწარ გამოძიებაზე, როცა მე უარვყოფდი წამოყენებულ ბრალდებებს, გამომძიებელი მემუქრებოდა: „კრონშტადში მოკლული იქნა მილიონობით. ისეთ ადამიანებს, როგორც თქვენ ხართ, ჩვენ ანგარიშს არ გაუწევთ. თქვენ მოგისჯიან არა მარტო სიკვდილს, არამედ ჩვენ შევეცდებით, რომ გაწამონ“.

სკობელევსკი იძლეოდა ჩვენებას არა ჩვეულებრივ დამშვიდებულად და საქმიანად.

### ბრალდებულ პეგეს ჩვენება.

სკობელევსკის შემდეგ სწარმოებს ბრალდებულ პეგეს დაკითხვა, რომელიც ამბობს, თუ რა პირობებში მისცა მან ისეთივე „ჩვენება“, როგორსაც იძლეოდა ნეიმანი.

მან განაცხადა თუ როგორ ატანდენ მას ძალას და აიძულებდენ ეთქვა რაიმე კომპარტიის სახელის გამტეხი.

დიდ განცვიფრებას იწვევს პეგეს განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ განუცხადა მან ამ ჟამად ნეიმანის დამცველ გოლდშტეინს პოლიციის მხრივ მასზე ძალდატანების შესახებ ყალბი ჩვენების გამოტყუების მიზნით და თუ როგორ ურჩია მას გოლშტეინმა კომპარტიის ჩირქის მომცხები ჩვენების მიცემა და ურჩია აგრეთვე ის, რომ პეგეს არ აეყვანა კომუნისტი დამცველი.

დამცველები მოითხოვენ გოლდშტეინის დაკითხვას.

გოლდშტეინი გაფითრებული ამბობს, რომ პეგემ მართლაც განუცხადა მას ძალდატანების შესახებ და პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ პეგე ყალბად აღიარებს თავის ჩვენებასო.

პეგე გულახდით აცხადებს: „მე ამ ჟამად არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს კომპარტიასთან. მე ვიდექი იმ გზაზე, რომ უნდა გავმხდარიყავ პოლიციის ჯაშუში, მაგრამ მე არ შემიძლია გავხდე მუშათა კლასის გამცემი. აქ ამ სასამართლოში მე მინდა ვსთქვა ყოველივე სიმართლე.“

## ბულგარეთის კომუნისტის მოკვლა.

ბულგარეთის კომუნისტი დეპუტატი სტრაშიმიროვი მოკლულ იქნა სოფიაში მთავრობის აგენტების მიერ.

## ბულგარეთის მთავრობის ახალი ძალადობა.

ბულგარეთის მთავრობამ გადაწყვიტა გააბათილოს კომპარტიის საპარლამენტო მანდატები და გადაამუშავოს მუშათა პრესის წინააღმდეგ მიმართული კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ. ცხადია მთავრობის მიზანს შეადგენს მუშათა პრესის სრულიად ჩახშობა.

## კომუნისტების შიმშილობა რუმინეთის ციხეში.

გაათავისუფლეს შილავსკაიას ციხიდან რუმინელი კომუნისტები კლოცენი, პაუკესი, და კაბიანი. დანარჩენი 4 კომუნისტი, შიმშილობით დასუსტების გამო გადაიყვანეს ციხიდან სამხედრო საავადმყოფოში.

## ჩინეთში.

### მოსალოდნელია განხეთქილება გომინდანის პარტიაში.

გომინდანის პარტიის გომინდანის მარჯვენა ფრთის წევრმა—ცზიან—ვეი—პანმა დაუგზავნა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ცირკულიარული დეპეშა. ცირკულიარში ის ილაშქრებს პარტიის გამოჩენილ ლიდერების წინააღმდეგ მათი რადიკალობისათვის და მოითხოვს კომუნისტების გამორიცხვას პარტიიდან, აღმასრულებელი კომიტეტის გადახალისებას და ამ კომიტეტიდან ლია—ო—ჩუნ—კაის და ვან—ჩინ—გეის გარიცხვას.

ფიქრობენ, რომ თუ სუნ—იატ—სენი გარდაიცვალა მემარჯვენე ფრთა გამოიწვევს განხეთქილებას პარტიაში.

### რით არის ავად სუნ-იატ-სენი.

ექიმების შემოწმებით სუნ-იატ-სენს ჰქონია კუჭისა და ჰაჭის კიბო. ავათმყოფთან არ უშვებენ მნახველებს.

### ახალი სესხი--ახალი უღელი.

სახელმწიფო სახსრის გამოლევის გამო ჩინეთის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოელ ფინანსისტებთან ახალი სესხის მიცემის შესახებ.

### კინკლაობა გენერლებს შორის.

გენერლებს შორის კინკლაობა ზოგიერთ პროვინციებში მეტად მწვავე ხასიათს იღებს. შიშობენ რომ ამ ნიადაგზე შანსიში და ხანანში (შუა ჩინეთი) შეიძლება იფეთქოს შეიარაღებულმა შეტაკებებმა გენერლებს შორის.

## სამხედრო საქმე

### რა უფრო მნიშვნელოვანია ქვეითი ჯარი თუ არტილერია?

ჩვეულებრივად ამბობენ, რომ მხოლოდ ქვეითი ჯარი არის დამოუკიდებელიო.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ქვეითა ჯარს შეუძლია დაამთავროს ომი.

არტილერიას, საჰაერო ფლოტს, მესანგრეებს და სხვა ჯარებს შეუძლიათ სხვა და სხვა შემთხვევებში მოახდინონ გავლენა ომის სასწორზე. მტრის პოზიციის დაჭერა, მისი გამაგრება და ბრძოლის წარმატების განვითარება შეუძლია მხოლოდ ქვეითა ჯარს. აი ამ მოსაზრებით ამბობენ, რომ მარტო ქვეითა ჯარი არის დამოუკიდებელიო.

მაგრამ ტეხნიკის განვითარება უმეტეს შემთხვევაში არ მისცემს ქვეითა ჯარს საშუალებას აასრულოს ეს ამოცანა სხვა გვარი ჯარების დაუხმარებლად: პირველ ყოვლისა ძლიერი არტილერიის დაუხმარებლად.

წინა წელიწადებიდან ჩვენ ვიცით, რომ არტილერიის დახმარება აუცილებელია ქვეითა ჯარისთვის შეტევის დროსაც, თავდაცვაშიც და ჰაერის მტრის წინააღმდეგაც.

იმისთვის, რომ თითეულ არ- ტილერისტს შეეძლოს დახმარე- ბა გაუწიოს ქვეითა ჯარს ა- კმარა მარტო თავისი საარტი- ლერიო საქმის შესწავლა. მა- უნდა იცოდეს ქვეითი ჯარი- საქმე.

ქვეითა ჯარისთვის არ არი- საჭირო იცოდეს არტილერი- და როდის რა დახმარების გა- წევა შეუძლია მას.

მთელი წითელი არმია უნდ- ლაპარაკობდეს ერთი სამხედრ- ენით.

მან უნდა შეისწავლოს თა- ვისი კლასობრივი მტრის ცემ- არა გაშლილი ხელით, არამე- ძლიერი წითელი მუშტით.

საქმე ის კი არ არის თუ რომელი სჯობია ომში—ქვეით- თუ არტილერია... ომში მნიშ- ვნელოვანია წარმატება. ხო- ლო წარმატება ჩვენ გვექნებ- იმ შემთხვევაში, თუ რომ ქვე- ითისა და არტილერიის მოქმე- დება განუყოფელი იქნება, თუ რომ ისინი ერთი მეორეს და- მატებას წარმოადგენენ.

ს. კასინოვი.

## პოლიტმუშაობის გასაძლიერებლა- ტერ-ნაწილებში.

აჭარისტანის პარტკომიტეტთან შედგენილია კომისია პოლიტმუშაობის გასაძლიერებლად ტერ-ნაწილებში.

### საბჭოების ყრილობა.

აჭარისტანის საბჭოების ყრილობა მოწვეულია 20 მარტისთვის.

### მუშა ქალთა დღისთვის.

მუშა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს სოფელ დიდუსანში (აჭარისტანი) გაიხსნება ჭრა-კერვის სკოლა.

## ჩვენი საბიბლიოთეკო წრეების მნიშვნელობა სოფლის ქოხ-სამკითხველოებისათვის.

დღეს უდიდესი ყურადღება ექცევა სოფელში კულტურულ მუშაობის გაჩაღებას. ამ მიზნით ეწყობა სკოლები და ქოხ-სამკითხველოები. ეს უკანასკნელი უნდა წარმოადგენდეს სოფლის კულტურულ და საზოგადოებრივ ცენტრს. თუ უწინ გლეხები იკრიბებოდენ ეკლესიის გალავანში, სადაც ბაასობდენ სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე და თხოვდენ რჩევას ღვდლებს, დღეს ასეთი შეკრებულების ალაგათ უნდა გადაიქცეს ქოხ-სამკითხველო, სადაც ისინი გაეცნობიან ახალ ამბებს, მეცნიერებების და ტეხნიკის მიღწევებს, მიიღებენ რჩევას სოფლის მასწავლებლიდან, ექიმიდან და სხვა.

ერთი სიტყვით წიგნებისა და გაზეთების ბინა უნდა გადაიქცეს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრების ცენტრად.

რა თქმა უნდა, ასეთი ცენტრის მოწყობა მოითხოვს გამოცდილ და, ცოტათ თუ ბევრათ, ამ საქმის მცოდნე ხელმძღვანელს, რომლის ენერგიიდან არის დამოკიდებული ქოხ-სამკითხველოს მუშაობის სიცხოველე. სამწუხაროთ ასეთი ხელმძღვანელები ჩვენ სოფლებში ნაკლებათ მოიპოებიან. და სწორეთ აი აქ შეუძლია ჩვენმა ჯარის საბიბლიოთეკო წრეებმა გაუწიოს მას უდიდესი დახმარება.

საბიბლიოთეკო წრეებში უნდა იყვნენ შერჩეული სხვა და სხვა სოფლიდან ისეთი წითელარმიელები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წიგნით. ბიბლიოთეკარმა, რომელიც არის ხელმძღვანელი ამ წრისა, უნდა გაათკეცოს ეს ინტერესი და უნდა გაუღვივოს სურვილი კულტურულ საზოგადოებრივ მუშაობისა. რათა ეს მიზანი მიღწეული იქნეს, წრის წევრები უნდა ჩაებან ბიბლიოთეკის აქტიურ მუშაობაში. ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობით მათ უნდა შეადგინონ სარეკომენდაციო სიები, ჩაატარონ ხმა-მაღალი კითხვა-საუბარი, მოაწყონ წიგნების გამოფენა, დასწერონ წაკითხულ წიგნზე რეცენზია და სხვა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წიგნების შესწავლას. საჭიროა რომ ბიბლიოთეკარმა გააცნოს მათ სხვა და სხვა დარგის პოპულიარული წიგნები. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე, სოფლის ქოხ-სამკითხველოსათვის წიგნების შერჩევის ცოდნას. ამ მიზნით ბიბლიოთეკარმა უნდა დაავალოს თვითეულ მათგანს წიგნთა სიის შედგენა, ეს სიები განხილული უნდა იქნეს წრის საერთო კრებაზე, სადაც შემუშავდება ერთი სამაგალითო სია. ეს სია შემდეგ გამოადგებათ მათ სახელმძღვანელოთ.

წრეების წევრები უნდა გაეცნონ საბიბლიოთეკო ტეხნიკასაც. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, არ არის საჭირო ჩვენი ბიბლიოთეკების ტეხნიკის დაწვრილებითი გაცნობა. უნდა იქნეს გამომუშავებული სოფლის ქოხ-სამკითხველოს ტეხნიკის პროგრამა და იმის მიხედვით უნდა სწარმოებდეს მუშაობა წრეში. ამას იმისათვის ვლაპარაკობთ, რომ ჩვენს დივიზიაში არის მეტის-მეტი გადახრა ტეხნიკისაკენ.

უდიდესი ყურადღება ექცევა ტეხნიკას, იმ დროს როდესაც აქტიური მხარე მივიწყებულია. ეს რა თქმა უნდა დიდი შეცდომაა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აქტიურ მუშაობას და წიგნის ცოდნას. საბიბლიოთეკო წრეების მუშაობის გაჩაღება ჩვენს ჯარში, მისცემს ჩვენს სოფელს ქოხ-სამკითხველოებს ხელმძღვანელების სათანადო კადრს, რითაც გაკეთდება უდიდესი კულტურული საქმე. ჩვენ დივიზიაში ამ მხრივ უკვე სწარმოებს მუშაობა. სხვა და სხვა ნაწილებში დაარსებულია საბიბლიოთეკო წრეები (მაგ. 1-ლ ლეგიონში). საჭიროა მხოლოდ ამ წრეების გამრავლება და მათი მუშაობის გაღრმავება.

ნ. ძე.




## ამხ. ფილიპე მახარაძე პირველ ქ. მ. ლეგიონში.

17 თებერვალს დღის 12 საათზე, ჩვენს ლეგიონს ესტუ-რა ჩვენი ლეგიონის საპატიო თელი არმიელი—ამხ. ფილი-ე მახარაძე. მთელი ლეგიონი ეყარა ლეგიონის კლუბის არბაზში. წ. არმიელები და თელი უფ-პოლიტ-შემადგენ-ობა ამხ. ფილიპეს მოსვლამ იერ ასიამოვნა. ამხანაგები ზედ ხვდებიან ამხ. ფილი-ს, ესალმებიან, და გაიძახიან ვაშა გაუმარჯოს ჩვენს ჰაღა-ფილიპესო".

რამოდენიმე წუთის შემდეგ სდგა უფ-პოლიტ შემადგენ-ობის და წითელ არმიელთა ავალრიცხოვანი კრება. კრე-პრეზიდიუმში საპატიო წე-ათ ირჩევა ამხ. ფ. მახარაძე. მთელ დარბაზს ფარავს „ვა-" ძახილი.

ორკესტრი უკრავს ინტერ-ციონალს, რომელსაც ფარავს ურვალე ტაში.

ქალაქის საბჭოთა არჩევნე-შესახებ მოხსენებით გამო-და ამხ. ფილიპე, რომელმაც ხო, თუ როგორ უნდა შე-ეთ საბჭოთა არჩევნებს, ვინ და ავირჩიოთ და სხვა. ამას და ამხ. მახარაძემ ილაპარა-როგორც სოფლის მდგომა-ობის, ისე საბჭოთა ხელის-ლების მიღწევების შესახებ სთქვა:

„საბჭოთა ხელისუფლებას კომუნისტურ პარტიას თქ-ი სახით უნდა მიეცეს სო-ის მომავალი მომუშავე , რომლებიც სათავეში დგებიან სოფლებს და ის დაღს დაასვამენ საბ-თა მეურნეობის აღორძი-ის საქმესო."

ამხ. ფილიპეს ეს სიტყვე-ფარება ტაშითა და „ვა-" ძახილით.

თელ არმიელთა აღფრთო-ბა და სიხარული აუწერე-ლია ამხ. ფილიპე მახარაძის მოსვლის გამო.

მოხსენების დამთავრების შემდეგ კრების მიერ შემოტანილ იქნა წინადადება, რათა ამხ. ფილიპე მახარაძე საპატიო დეპუტატათ იქნეს არჩეული ქალაქის საბჭოში 1-ლ ქ. მ. ლეგიონიდან.

წინადადებას ისევ აღფრთოვანება და. „ვაშას" ძახილი მოყვება.

ადგილებიდან გაისმის წ.-არმიელების ხმა:

**„გაუმარჯოს ჩვენს უხუცეს ბელადს ამხ. ფილიპე მახარაძეს და საბჭოთა ხელისუფლებას"**. შემდეგ ამხ. ფილიპე დაგვემშვიდობა წითელ-არმიელებს და მოგვმართა:

**„მე მადლობელი ვარ პატივისცემისათვის და ვეცდები ჩემი მთელი ენერგიით შევასრულო ყოველივე ის, რასაც თქვენ მავალებთ მუშების და გლეხების კეთილდღეობისათვის"**. წითელ-არმიელებმა ამხ. ფილიპე ხელში აყვანილი გაატარეს მთელი ეზო.

ვინ მოსთვლის რამდენი ტაში, „ვაშას" ძახილი და ოვაციები ისმოდა ლეგიონის ეზოში.

ამის შემდეგ კრება გადავიდა დეპუტატების არჩევნებზედ და აირჩიეს შემდეგი ამხანაგები 1) სამხკომი ამხ. გ. ბახია, 2) ლეგიონის თავი მ. შავდია. 3) პოლიტგანის უფროსი ამხ. არტ. კვირიკაძე, 4) ბიურო კ. მდივანი ამხ. გ. კვირაია. 5) სამხ. პარტ-სკოლის უფროსი ამხ. ნადირაძე, 6) წ. არმ. მარღიშვილი და 7) ტაბატაძე. -კანდიდატებათ კი: 1) ასის თავი მამულაშვილი ალ. 2) პოლიტხელი—სვანიძე ისაკი 3) წ. არმიელი ზაქარაძე და 4) პოლიტხელი ანდღულაძე.

ს. იმნაიშვილი.

## გმირების მოსაგონარი საღამო.

18 თებერვალს, პირველ დი-ის ცენტრ. კლუბში, გა-თა ამხ. ამხ. ობოლაძის, ძის და ჩუბინიშვილის ვულად მოკვლიდან, ორი ს თავის აღსანიშნავი სა-. საღამოს თბილისში მდ ქართულ ნაწილების გარ-დაესწრენ აგრეთვე დიდძა-მუშა-მოსამსახურენი და ვენებულთა ჰირისუფალნი. ტყვები წარმოსთქვეს: პო-გნის უფროსმა, ამხ. ვ. ულიძემ, ამხ. ანდღულა-(პირველ ლეგიონიდან) და კაჭარავამ (კომუნისტურ ერსიტეტიდან).

. ამხ. აღნიშნეს ამხ. საშა ლაძის ღვაწლი როგორც ლიუციონურ მოძრაობაში მუნისტურ პარტიის რიგ-გამტკიცებაში, ისე ქა-ლი ნორჩი წითელი ლა-თავის დანაწილების სი-ეზე აყვანაში.

ხსენეს აგრეთვე გურიაში ბანდიტების მიერ მოკლული უპარტიო ამხანაგები სანიკიძე და ჩუბინიშვილი რომელნიც პირნათლად შეეწირენ რევოლიუციის სამსხვერპლოზე.

სიტყვების შემდეგ პირველი ლეგიონის დრამ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა პირველი მოქმედება საშა ობოლაძის პიესის, „ლაშქრობა ხევსურეთში" და შ. დადიანის ისტორიული პიესა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებიდან, „გეგეჭკორი". ზოგიერთების გარდა, ყველა მოთამაშენი თავის სიმაღლეზე იდგენ, განსაკუთრებით, ამხ. ვიქ. სიხარულიძე, ჯაფარიძე და სხვა.

საღამოზე უკრავდა პირველი ლეგიონის ორკესტრი, ცნობილ ამხ. დოლენკოს მეთაურობით.

მოგონების საღამო მეტად შინაარსიანი იყო.

ს—ნ.

## ამდენ ხანს ანბანი ვერ ასწავლეს?

პირველ ქართულ ლეგიონში ერთი მეტად სამწუხარო ამბავის მოწმე შევიქენი:

შტაბს ჰგვიდენ ორი წითელ-არმიელი. ორივე წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ და კედელზე გაკრულ პლაკატებს გულის ტკივილით შესცქეროდენ.

—ბიჭო კითხვა, რომ ვიცოდეთ, ხომ გავიგებდით რაღაცა სწერია ამ ქაღალდებზე? ეჰ, მასწავლებლები დაგვინიშნეს სკოლაში, გვითხრეს შეგასწავლით წერა კითხვასო და ჯერ კიდევ არაფერი ვიცით. იღბალი არა გვქონია იღბალი, ჩაილაპარაკა პირველმა და განაგრძო შტაბის გასუფთავება.

—კაცო ჯერ კიდევ იმას გველაპარაკებიან ჩვენი მასწავლებლები, რომ დედამიწა ასე ბრუნავს, ვარსკვლავები, მზეო და სხვის შესახებ. უფრო კარგი არ იქნება, რომ ჯერ წერა და ქაღალდის წაკითხვა გვასწავლონ; მერე უფრო გავიგებთ იმას, რასაც გველაპარაკებიან.

ვინ იცის კიდევ რას არ ლაპარაკობდენ გულ ნაკლული არმიელები, მაგრამ ზემოთ მოყვანილმა უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება.

ამდენი ხანია მეცადინეობა დაიწყო წითელ არმიელებში წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციოთ და ნუ თუ ანბანი ვეღარ შეასწავლეს ჩვენმა მასწავლებლებმა არმიელებს?

მართალი ყოფილა ჩვენი სამხკომი, როდესაც ხშირად უსაყვედურებდა მათ (მასწავლებლებს). თუ ეს გარემოება მათი დაუდევრობით არ არის გამოწვეული და სწავლების მეთოდი არის ასეთი, უნდა ვსთქვათ, რომ ვერ ყოფილა წესიერი. არმიელებს ძლიერ აინტერესებთ წერა-კითხვა. მისი შესწავლისათვის ყველაფერს იზამენ ამას თავიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება. საჭიროა წითელ არმიელის სურვილსაც ალღო აელოს. მაშინ უფრო ნაყოფიერი იქნება სწავლა. ლეგიონის მესვეურებმა უნდა გამოარკვიონ ეს გარემოება.

სამხკორი **სიმართლის** მოყვარული.

## საჭიროა გადამჭრელი ზომები.

ცხენოსან ლეგიონში კარგა ხანია ადგილი აქვს ერთ არა სასიამოვნო მოვლენას, რომლის გამო ირღვევა ლეგიონის ყოველ დღიური წესრიგი. ლეგიონს სინათლეს აძლევს ნავთლუღის ელექტრო-სადგური, რომელიც თითქმის ყოველ ღამე წამ-და-უწუმ სწყვეტს სინათლეს, გათენებამდის აქრობს და უმთავრესი ისაა, რომ ხშირად მთელი ღამეები სინათლე სრულიად არ არის, რის გამოც საჯინიბოებში ცხენები ერთი-მეორეს ამტვრევენ, გუშაგები ბნელაში დგანან, ყაზარმებში ვახშმობა შეუძლებელი ხდება, შტაბის მორიგე თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს და სხვა.

ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია ასე გაგრძელდეს.

საჭიროა დაუყონებლივ იქნას მიღებული სასწრაფო ზომები, რათა ან ის ელექტრო სადგური გვაწვდიდეს სინათლეს წესიერად, ან და გამოყვანილი იქნას სინათლე ამ ლეგიონის გვერდით არსებულ ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან, რომელიც სრულიად წესიერად ღებულობს სინათლეს.

სამხკორი ისარი.

## წ. არმიელთა შემოქმედებანი.

ქ. ცხენოსან ლეგიონში სისტემატიურად ყოველ შაბათობით გამოდის კედლის გაზეთი.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია, რომ „კედლის გაზეთი ნაწილის ავლა-დიდების სარკეაო". ყველა დეფექტები, რომლებიც დღის სინათლეზე გამოჰქონდა გაზეთს შესაფერი ყურადღება ექცეოდა და ისინი სასწრაფოდ იქმნენ გამოსწორებულნი.

მაგრამ როგორ უნდა გამოქვეყნდეს ესა თუ ის ნაკლი კედლის გაზეთის ფურცლებზე, თუ ამის შესახებ არავინ (მე მყავს მხედველობაში წ. არმიელები) არაფერს არ იწერება. დრო არის ამხანაგები ყურადღებას მიაქცევდენ კედლის გაზეთს და მის მნიშვნელობას.

კორესპონდენციების მიწოდება გაზეთისათვის უნდა გახდეს ჩვენთვის გადაუდებელ საქმედ.

აღვნიშნოდ გაზეთში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. უკანასკნელს მივაქციოთ უფრო განსაკუთრებული ყურადღება. ვსწეროთ სუყველამ, რათა გაზეთი ატარებდეს მასსიურ ხასიათს და შეიქნეს ჩვენი ყოფა-ცხოვრების ნამდვილი ამსახველი.

გეზი.

# პარტიული ცხოვრება.

## დაუკავშირდით სამოქალაქო კომუჯრედებს.

14 თებერვალს პირველი ლეგიონის 9-ე ასეულში შესდგა კომუჯრედის ღია კრება. დაესწრენ პარტიის წევრები და უპარტიო წითელ-არმიელთა მთელი შემადგენლობა.

მთავარი საკითხი, რომლის შესახებაც მოხსენება მოისმინა ასეულის კრებამ, იყო სამოქალაქო ორგანიზაციების კომუჯრედებთან ჩვენი დაკავშირება. მოხსენება გააკეთა ამხ. მალალაშვილმა, რომელმაც თავისი გასაგები მდაბიო ენით აგვიხსნა თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხედრო კომუჯრედების სამოქალაქოებთან კავშირს და სოფლებზე კულტშეფობის აღებას.

ზოგიერთი შეკითხვების შემდეგ, რომლებმაც მთლიანად ამოსწურეს აღნიშნული თემა, მეცხრე ასეულის წითელ-არმიელთა საერთო კრებამ დაადგინა:

„რადგანაც ქალაქის მუშებსა და წითელ-არმიელებს შორის გაბმულია მჭიდრო კავშირი, საჭიროა ჩვენი და სამოქალაქო კომუჯრედებს შორისაც გაიბეს ასეთივე მჭიდრო კავშირი. ეს უფრო გაადვილებს ერთმანეთის პროგრამისა და ცხოვრების გაგებას.

სოფელზე კულტშეფობის აღებას ჩვენ ყველანი, როგორც ერთი აღფრთოვანებით ვეგებებით. ჩვენი მოძმე სოფლის გლეხები ჯერ კიდევ სიბნელით არიან გარემოცული, ჩვენ როგორც უფრო გათვითცნობიერებულნი ვალდებული ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მათ გათვითცნობიერებაში".

ახკორი მ. სიდავა.

# ამბები სოფლებიდან

### კოოპერაციის გასაძლიერებლათ.

გორის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ყველა გლეხკომების საშუალებით აწარმოოს გლეხებში მუშაობა კოოპერატივებში წევრებათ ჩასაბმელათ.

### ჯებირების გაკეთება.

განზრახულია გაკეთდეს მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ ჯებირები ბორჯომში, ხაშურში, გომში, ძევრთატანში, ოხერაში, ხიდისთავში (გორის მაზრა), თემახში და მეტეხში.

### წისქვილების გაყინვა.

ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა სიტყვებით იქ წისქვილები ერთიანათ გაყინულია და გლეხობა ამ ნიადგზე განიცდის დიდ გაჭირვებას. ნაწილობრივ მოქმედებენ მხოლოდ მდ. რიონზე გაშენებული სამინდო წისქვილები.

### გლეხების გადაწყვეტილება.

სოფელ გიორგეთის (კახეთში, ალაზანს გაღმა) გლეხებმა გადასწყვიტეს საკუთარი ძალებით შეუდგნენ მდინარე კაბალის ნაპირების დამატებითი გამაგრებას.

### საექიმო იარაღების გაგზავნა.

ჯანმ. სახალხო კომისარმა პირადათ წაიღო ოზურგ. მაზრაში 8 საექიმო პუნქტისათვის საჭირო იარაღები, სენაკისაში— 5 პუნქტისათვის ზუგდიდისაში—4 სთვის და აჭარაში 3 საექიმო პუნქტისთვის.

### ტყეების დასაცავად.

მიწ.-მოქმ. კომისარიატის სატყეო სექციამ შეიმუშავა წესები ტყის დაცვის შესახებ. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნება მაზრებში, გლეხებისათვის გამოსაცხადებლათ.

## თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილებს.

საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავისა და წითელი არმიის 7 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულის ჩატარების გეგმაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1. 21 თებერვლიდან 25-მდე ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში ჩატარებული იქნება მოხსენებები შემდეგ თემაზე:

ა) საქართველოს გასაბჭოების 4-ხი წლის თავი და ჩვენი მიღწევები.

ბ) წითელი არმიის შვიდი წლის თავი. კრებები გაიმართება სამხედრო ნაწილებთან ერთად.

2. 23 თებერვალს საღამოთი—მუშათა დელეგაციები შედიან ყაზარმებში და ესწრებიან საერთო წითელ-არმიელთა კრებებს და კლუბებში დადგმულ წარმოდგენებს.

3. 25 თებერვალს აღლუმი არ შესდგება: ყველა რაიონებში ცალ-ცალკე შესდგება რაიონული კრებები მოხსენებებით საქართველოს გასაბჭოების და არმიის წლის თავის შესახებ.

ამ დღისათვის სოფლებში იგზავნებიან საშეფო კომისიები, რომლებშიდაც შედიან სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებიც. დანარჩენებში სადღესასწაულო გეგმა უცვლელი რჩება.

პოლიტ-სეკრეტარიატის უფროსი დვორიანოვი.

# სამეო დარგის საკითხები

**სანივთო კმაყოფა.**

ყოველივე ნივთს, რომელიც ეძლევა ხელზე ან წითელ—არმიელს, ან და კიდევ მთელს ერთეულს საერთოთ, აქვს თავისი, ტაბელით დაწესებული, სამსახურის ვადა. მაგრამ სამხედრო მოსამსახურის ამოცანას შეადგენს არ მარტო ამ ნივთის დანიშნულ ვადამდე შენახვა, არამედ ვადის შემდეგაც, რათა თაოსნობით და მომჭირნეობით ერთეულში დაგროვდეს ნივთების მარაგი რომ ჯარის ნაწილს ჰქონდეს სამუშაო და გარეთ გასასვლელი (სადღესასწაულო) ტანსაცმელი. ამის მიღწევა შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ, რომ თვითეულმა სამხედრო მოსამსახურემ შეიგნოს თავისი უფლებები და მოვალეობანი სანივთო კმაყოფის საგნების მიმართ.

**წითელ—არმიელების და ყველა სამხედრო მოსამსახურების საერთო უფლებები და ვალდებულებანი.**

თვითეულ წითელ—არმიელს შეუძლიან მოითხოვოს განმარტება იმისა, თუ რა ეკუთვნის მიიღოს მან მთელი თავისი სამსახურის დროის განმავლობაში, რატომ არ ღებულობს ყველა იმას, რაც მას ეკუთვნის და როგორ უნდა მოეპყრას მიღებულ ნივთს. ამასთან წითელი მოლაშქრე მოვალეა ფრთხილად მოეკიდოს, როგორც პირადად, აგრეთვე მთელ ერთეულისათვის საერთო სახმარებლად მიცემულ ნივთებს და ყოველთვის უნდა ახსოვდეს მას, რომ მთელი ქონება, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, წარმოადგენს ჩვენს საერთო სახალხო მეურნეობას. ჩვენი მეურნეობის განმტკიცება და განვითარება სავსებით დამოკიდებულია ჩვენს გაფრთხილებაზე და მომჭირნეობაზე.

სახმარებლად მიღებულ ნივთის ან დაუდევრობით ან წინასწარ განზრახვით, გაფუჭებისთვის და დაკარგვისთვის, თვითეული სამხედრო მოსამსახურე კანონით, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წინაშე და ნივთიერადაც, ე. ი. გარდა კანონით დადებულ სასჯელისა (დაპატიმრება და სხვა) გაფუჭებულ ან დაკარგული ნივთების ღირებულება გადახდება დამნაშავეს მისი ჯამაგირიდან დაკავებით ან კიდევ მისი საოჯახო ქონებიდან ანაზღაურებით.

**ათეულის თავის ვალდებულობანი:**

1. ყოველ-დღიურად, დილით ათეულის წითელ არმიელების ამოკითხვის დროს—მათი ტანსაცმელის ფეხსამოსის და საჭურვლის, დათვალიერება, რათა ათეულის მთელი შემადგენლობა ყოველთვის იყოს თავის წესზე და სუფთად;

2. თვალყურის დევნება, რათა ათეულის წითელ—არმიელები თავის დროზე იცვლიდნენ საცვლებს და დიდხანს არ სტოვებდნენ გაჭუჭყიანებულ საცვლებს გაურეცხავს.

3. თვალყურის დევნა რომ წითელ არმიელები ფიზიკურ სამუშაოზე წასვლის დროს იცვამდენ სულ ძველ ტანისამოს.

4. კვირაში ერთხელ, ცხენოსან ნაწილებში და აგრეთვე საბარგულებში, დათვალიერება ცხენების საჭურვლისა, რათა ეს უკანასკნელები ინახებოდეს თავის რიგზე და სუფთად.

5. ყურადღების გაწევა, რა ათეულის წითელ არმიელებზე გაცემული ტანისამოსი და საჭურველი, თავის დროზე იყოს შეტანილი წითელ არმიელების წიგნაკებში.

6. თვალყურის დევნება ათეულის წითელ არმიელების ქვეშსაგების სისუფთავეზე.

7. თვალყურის დევნა თავის ათეულის წითელ-არმიელების ტანისამოსის, ფეხსაცმლის და საჭურველის გადაკეთება—გაწყობაზე.

8. ოცეულის თავისადმი მოხსენება ტანისამოსის, ფეხსაცმლის და საჭურვლის ყველა უწესოებაზე, რომელიც არ შეიძლება თავიდან აცილებულ იქმნას თვით წითელ არმიელების მიერ.

9. თვალყურის დევნა ქვეშაგების მოწყობილობის მთლიანობაზე და ყაზარმის იმ ქონების დაცვა, რომელიც მის ათეულშია.

**ოცის თავის ვალდებულებანი.**

1. ყოველ ორ კვირაში არა ნაკლებ ერთხელ ოცეულის წითელ არმიელების ტანისამოსის, ფეხსამოსის და საჭურველის დათვალიერება, მასთან ცხენების საჭურველისაც, რათა მთელი ოცეულის შემადგენლობა მუდამ იყოს თავის წესზე და სუფთად.

2. შესაკეთებელ ტანისამოსის, ფეხსაცმლის და საჭურველის გადაგზავნა, სანივთო მეკუთნავის საშუალებით, სახელოსნოებში გასაკეთებლად.

3. პერიოდიულად, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ მთელი თვის განმავლობაში, შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეთანხმებულია წითელ არმიელების წიგნაკების ცნობებთან იმ ტანისამოსის და საჭურველის რაოდენობა, რომელიც წითელ არმიელებს აქვთ ხელზე.

4. ოცეულის წითელ არმიელებზე გაცემულ ყველა სახაზინო ქონებაზე ნუსხების დაწესებულ ფორმაზე წარმოება.

5. თვალყურის დევნა,—რომ ოცეულის ათის თავები სინამდვილით ასრულებდნენ სანივთო მომარაგების საგნების მოვლა-გაფრთხილების წესს.

6. თვალყურის დევნება ქვეშაგების მოწყობილობის და ყაზარმის იმ ქონების მთლიანობაზე და დაცვაზე, რომელიცაა მის ოცეულში.

ს. შაკუნი.

(გაგრძელება იქნება.)

# უცხოეთის არმიებში.

**ჩვენგან სწავლობენ.**

ამას წინად ზოგიერთი უცხოეთის სამხედრო ჟურნალები და მათ რიცხვში ჩვენი სახედრო ჟურნალიც „კრასნაია ზვეზდაც“ თავის ფურცლებზე აწარმოებდენ კამათს ქუჩაში გამართულ ბრძოლის საკითხის გარშემო.

ამ ჟამად საფრანგეთის სამხედრო პრესამ თითქმის გადაამღერა ეს თემა და ერთ ერთ ნომერში უძღვნის მას დიდ წერილს.

გაზეთს სინდისიერად მოყავს საბჭოთა ავტორის წერილიდან დებატები და ხაზს უსვამს იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ასეთი სახის ომის ხელოვნების მთლიანად შესწავლის შესახებ. იმის შესახებ, რომ მომავლის ომები, რომლებიც აუცილებლად მიიღებენ სამოქალაქო ომების ხასიათს, ქალაქის ქუჩებში წარმოებული ომს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

წერილის ავტორი მაინც ვერ უხვევს გვერდს ჩვეულებრივ საბჭოთა ქვეყნებისადმი მტრულ განწყობილებას და საბჭოთა ავტორის ზოგიერთ დებულებებს ბრძოლის ასეთი სახის შესახებ და იმეორებს იგავ-არაკებს რაღაც საიდუმლო პროპაგანდის და წყეულ შეთქმულებების შესახებ, რომლებიც ამზადებენ ბოლშევიკურ აჯანყებებსა და გამოსვლებსო, რომლებიც ბევრს მოსვენებას არ აძლევს საზღვარ-გარეთ.

მიუხედავად ამისა ავტორს ყველაფერი ეს მაინც არ უშლის ხელს აღნიშნოს საბჭოთა ავტორის ზოგიერთ დებულებების შესწავლის აუცილებლობა ფრანგებისათვის. „ის გამოსადეგი იქნება ჩვენი ჯარებისათვის“—თუმცაო, დასძენს ავტორი—არა მარტო სამოქალაქო ომების დროსო.

სამანევრო ომების დროსაც შეიძლება წარმატებით იქნეს ის გამოყენებულიო.

ოპერაციები ქალაქებში—მეტად სახიფათო და საშიში ოპერაციაა.

„ამიტომ საჭიროა აქაც მომზადებაო“.

ერთის სიტყვით ჩვენი მოწინააღმდეგეები ფიცხლად ჩაეკოწინენ ჩვენს „ბოროტგანზრახულ“ მოსაზრებას.

# ახალი ამბები.

— **აღმასკომის დახმარება.** ქუთაისის აღმასკომმა, გადასდო ასი მანეთი № ლეგიონში წ. კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტის მოსაწყობათ.

— **ბამბის საწმენდი ქარხანა.** ოქტომბრიდან ცეკავშირის ბამბის საწმენდმა ქარხანამ გადაამუშავა და გადასცა ა. კ. ბამბის კომიტეტს 15 ვაგონი ბამბა 115 ათასი მან. ღირებულების.

— **კოოპერატივების დავალიანება.** საანგარიშო წლის წარსულ 1-ლ მეოთხედში პროვინციის კოოპერატივების დავალიანება ცეკავშირისადმი გაიზარდა 1.700.000 მანეთამდე.

— **ლატარიის გათამაშება.** სოც. უზრ. მიერ მოწყობილ მომგებიან ლატარიის გათამაშება მოხდება 28 თებერვალს. გაუყიდავი ბილეთები უნდა გადაეცეს სალატარიო კომიტეტს 26 თებერვლამდე.

— **მევენახეობისათვის.** სახალხო მამულების ტრესტმა გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან 5 ათასი ფუთი გოგირდი.

— **საბინაო გადასახადი.** ტფ. აღმასკომი ამ დღეებში შეუდგა ტფილისის არა მშრომელ ელემენტებისაგან საბინაო გადასახადის აკრეფას.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**დედამიწის ხნიერება.**

დედამიწის ხნიერების შესახებ, მკვლევარ მეცნიერებს შორის აქამდე დიდი უთანხმოება იყო. მათი გამოკვლევები ამის შესახებ არა თუ უთანხმდებოდენ, არამედ მეტის-მეტად დაცილებული იყვენ ერთმანეთისაგან. ეხლად წოდებულ ლითონ რადიუმის აღმოჩენამ და რადიო-აქტიურ ნივთიერებათა გარდაქმნის პროცესების შესწავლა ამ ჟამად ადვილებს ჩვენი პლანეტის—დედამიწის ხანიერების სისწორით გამორკვევას.

ამას წინად ამ თემზე მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთში პარიზის აკადემიკი ცნობილი ალფრედ ლეონი. მისი გამოანგარიშებით დედამიწა არსებობს ერთი მილიარდი და 600 მილიონი წელიწადი. მისი აზრით თუ კი რაიმე შეცდომა არის დაშვებული ამ გამოანგარიშებაში, ის არ უნდა აღემატებოდეს მაინც 10 მილიონ წელიწადსო.

**პირველი რადიო რეკლამა ს. ს. რ. კავშირში.**

ამ დღეებში ლენინგრადში მოეწყო რადიო რეკლამის პირველი საცდელი დემონსტრაცია. 25 ოქტომბრის მოედანზე „სევპეჩატის“ შენობაში დადგმული იქნა რუპორი. ქუჩებში გაისმოდა ზოგიერთ ტრესტების საქონლის ფასების ძახილი, ცირკის პროგრამა და სხვა. რადიო რეკლამა გაისმოდა საკმაოდ დიდ მანძილზე. „სევპეჩატმა“, აუარება შეკვეთები მიიღო ასეთივე სარეკლამო რადიო აპარატების დასამზადებლად.

რუპორები დადგმული იქნება ქალაქის 6 ივე რაიონებში.

# შეცდომის გასწორება.

გაზ. „წითელ-არმიელის“ გუშინდელ № 39-ის მოწინავეში „ემზადეთ 8 მარტისათვის“ გაიპარა შემდეგი კორექტორული შეცდომა, დაბეჭდილია: „იქ ბურჟუაზიულ ევროპაში პროლეტარი ქალი ამ დღეს კიდევ ერთხელ აღიმაღლებს თავის საპროტესტო ხმას კაპიტალის ძალადობის წინააღმდეგ, დაათვალიერებს თავის რიგებს და გაითვალისწინებს რა წარსული ბრძოლის **დამოკიდებულებებს**... უნდა იყოს: წარსული ბრძოლის **გამოცდილებებს** და სხვა“.

# სამხედრო ტრიბუნალი.

17 თებერვალს ქართულ სამხედრო ტრიბუნალში სასამართლოს სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გოგიჩაიშვილი, კოლეგიის წევრები: გაბუნია და ჭკუასელი. განიხილა სოფ. ლედვებში (სენაკის მაზრა) მცხოვრებ ქართულ ცხენოსან ლეგიონის წ-ა. ნადარეია ფილიპე რომანის-ძის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა დეზერტირობაში.

სასამართლოს სხდომაზე გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ნადარეია თავისი ნებით და უფროსების დაუკითხავათ წასულა ნაწილიდან 27 დეკემბერს. დაუყვია რამოდენიმე დღე ნაწილის გარეშე და ა. წ. 16 იანვარს თავისივე ნებით გამოცხადებულა ნაწილში.

ბრალდებულმა ნადარეიამ იცნო თავი დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებაში და განმარტა, რომ მისი უნებართვოდ სახლში წასვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ყავდა შეყვარებული ქალი და უნდოდა მოეყვანა, მაგრამ ჩასვლისას გათხოვილი დახვდა.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მასზე წაყენებული ბრალდება და მიუსაჯა მას 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით და ქონების ნაწილის კონფისკაცია 10 მანეთის ღირებულებამდე.

გაბუნია.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. გ. ჩხეიძეს.** „პირველი ლეგიონის სკოლის კომ. ჯგუფის კრება“ არ დაიბეჭდება. ამაზე ერთხელ უკვე აღინიშნა ჩვენ გაზეთში.

**ამხ. დ. ქაბზინაძეს.** თქვენი წერილი „ცალკე მესანგრეთა ასეულის ცხოვრებიდან“ არ გავა. ასეთი უკვე იყო.

**ამხ. ლ. მცხეთელს.** თქვენი ლექსები „ლენინს“ „აკაკის გარდაცვალების ათი წლის თავზე და „ჩვენ მედგარნი ვართ“ არ გამოდგენ. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები

**ივ. ბარელაძეს.** ლექსი „სამართლისაკენ“, არ გავა.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადებები.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

**მე-4ხე ლეგიონის ბიურო-კოლექტივიდან.**

2-რე ქ. მ. დ. გორში მდგომ მე 4-ხე ლეგიონის პარტორგანიზაციაში შემოტანილი აქვთ ქვემორე ჩამოთვლილ ამხანაგებს განცხადებები, რომლებიც თხოულობენ კომ-პარტიაში შემოსვლას. გთხოვთ ყველა მოქალაქეთ ვინც იცნობს ამ ამხანაგებს უარყოფითად გვაცნობოთ, გინდ წერილობით და გინდ სიტყვიერი მოლაპარაკებით. რაც შეგიძლიანთ შემოიტანოთ ქ. გორში მდგომ მე-4ხე ლეგიონის ბიურო კოლექტივში.

1) ჭანტურაია ევსევი ზოსიმეს-ძე, 2) კვიცარიძე ალექსანდრე ანტონის-ძე, 3) პატარქალიშვილი სერგო ალექსანდრეს-ძე, 4) დათიაშვილი გიორგი მიხეილის-ძე. 5) ლალიაშვილი არშაკ ივანეს-ძე. 6) მათიაშვილი ნიკოლოზ სამსონის-ძე. 7) დარჩიაშვილი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, 8) სამადბეგოვი გიორგი ვასილის-ძე. 9) მუქერია აკაკი ნიკოლოზის-ძე. 10) გვათუა ნიკოლოზ იოსების-ძე. 11) ღვდელაძე შალვა ვარსამის-ძე 12) დვალიშვილი ნიკოლოზ ნესტორის ძე.

რევოლიუციონურ დღესასწაულების მოახლოების გამო სემინარების მეცადინეობა შეწყვეტილია 26 თებერვლამდე.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

პარტ—კომისიის მიერ პარტიის წევრებათ დამტკიცებულ იმ ამხანაგებისათვის, რომლებისთვისაც უნდა დაგვერიგებინა ერთიანი ბილეთი ჯერ-ჯერობით ვერ დაურიგებთ, რადგან ბლანკები არ მოგვეპოვება, ბილეთების მიღებისთანავე გამოცხადებული იქნება დარიგების დრო.

1-ლ დივიზიის პარტ—კომისია.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.